სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვამტკიცებ "
თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

თორნიკე შერმადინი
„22" ------03------------ 2013 წელი

ეგზ. N2

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"
ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა 3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 7
ფორმა N1 - ბალანსი 8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 10
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ 12
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 13
ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ 14
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 15
ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 17
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 18

1. ზოგადი ინფორმაცია 18
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 18
3. სავალუტო ანგარიში ბანკში 19
4. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 20
5. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან 20

98

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ (შემდეგში ბიურო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯებს, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციებს, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციებს, წმინდა ღირებულებას, ფულად გრანტებს, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლას, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბიუროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ბიუროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2009 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები და უზუსტობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმდინარე პერიოდის საწყის ნაშთებზე

- 2009 წელს უზუსტოდ/არასრულად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება

2008 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ წმინდა ღირებულების N5100 და გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიშები 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს 2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უზუსტობები შესაძლებელია გამოწვეულიყო ეკონომიკური საქმიანობით და საბიუჯეტო დაფინანსებით გაწეული ხარჯების, ან მიღებული შემოსავლების არამართებული გამიჯვნით, - კლასიფიცირებით. სწორედ აღნიშნული აღმოჩნდა მიზეზი იმისა, რომ 2009 წლის წმინდა ღირებულების N5100 ანგარიშის ბრუნვა 438,036 ლარით არამართებულად არის შემცირებული, ხოლო გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიშის ბრუნვა ამავე თანხით არამართებულადა არის გაზრდილი. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი წმინდა ღირებულებისა და გაუნაწილებელი მოგების ნაშთების სისწორეში.

-2009 წლის ინვენტარიზაცია

ბიუროში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ინვენტარიზაციის ყოველწლიურად ჩატარება.

ჩვენ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების აღრიცხვის სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 83,682 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2009 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების აღრიცხვის სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 5,257,425 ლარის საერთო ღირებულებით.

აღნიშნული საკითხების გამო, ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სხვა მატერიალურ მარაგებთან, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტართან, სხვა ძირითადი აქტივებთან დაკავშირებით, აგრეთვე ფორმა N1-ის ფორმა N2-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

-არაფინანსური აქტივები

- ბიუროს მიერ 2009 წელს შეძენილია და ძირითად აქტივად აღიარებულია 42,8 ათასი ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული მასალების ღირებულება უნდა ასახულიყო ხარჯებში, რადგან არ კმაყოფილდება ძირითად აქტივად აღიარების ის კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრულია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანებით. შედეგად, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ანგარიში 42,8 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ხოლო გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში ამავე თანხითაა შემცირებული.
- 2009 წელს ბიუროსათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილია 9,000 ლარის საერთო ღირებულების ისეთი აქტივები, რომლებიც არაფინანსურ აქტივებს არ განეკუთვნებიან და რომელთა შეძენა უნდა განხორციელებულიყო ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, სუბსიდიების მუხლიდან. აღნიშნული ფაქტი იწვევს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონთან შეუსაბამობას. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაში 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები 9,000 ლარით გაზრდილად - , ხოლო წმინდა ღირებულების N5100 ანგარიში ამავე თანხით შემცირებულად იქნა წარმოდგენილი.
- ფორმა N2-ის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფინანსური აქტივების შესაძენად გამოყოფილი ასიგნებებით შეძენილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 507,428 ლარი. თუმცა, ბუღალტრულ ჩანაწერებში აღნიშნული აქტივების ღირებულება ასახულია 418,738 ლარით.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2009 წელს, აღნიშნული ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარებისას ბიურომ შეძენილი აქტივების დღგ-ის თანხა ჩაითვალა და შესაბამისად, არ შეიყვანა ძირითადი საშუალების თვითღირებულებაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება იმისა, რომ შესყიდული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოყენებული იქნა მხოლოდ დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, რაც საფუძველი იქნებოდა დღგ-ის სრული ჩათვლისათვის. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით, რომ არაფინანსური აქტივებისა და დღგ-ის ნაშთები არ შეიცავს არსებით უზუსტობებს, რაც შესაძლოა გამოწვეულიყო აღნიშნული გარემოებით. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ბიურომ დააკორექტირა დღგ-ის დეკლარაციები, მათ შორის ზემოთ ხსენებულ ოპერაციასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ, თუმცა, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბუღალტრულ ჩანაწერებში შესწორება არ იქნა შესაბამისად ასახული.

- ბიურომ 32,765 ლარის საერთო ღირებულების ინვენტარი აღრიცხა ხარჯებში, საიდანაც 7,568 ლარის ღირებულების ავეჯი (10 ცალი ინტეგრირებული კარადა და 3 სამედიცინო კარადა) აკმაყოფილებდა ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შედეგად კი 2009 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგების N5220 ანგარიში 7,568 ლარითაა გაზრდილი, ხოლო ამავე თანხითაა შემცირებული ძირითადი საშუალებების ანგარიში.

- გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები (2009)

ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ის მუხლი ნაკლებია 21,590 ლარით, ჩასათვლელი დღგ-ის მუხლი მეტია 83,767 ლარით, ხოლო საშემოსავლო გადასახადის მუხლი მეტია 37,775 ლარით. აღნიშნული უზუსტობების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბიურომ 2011 და 2012 წლებში დააზუსტა წინა საანგარიშო პერიოდების დეკლარაციები და შესაბამისი კორექტირებები ბუღალტრულ ჩანაწერებში იმ საანგარიშო წლებში გაატარა, როდესაც მოხდა დეკლარაციების დაზუსტება.

- მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვა გადასახადების აღრიცხვის შემთხვევებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროს არ აქვს გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია ქონების გადასახადის ზუსტი გაანგარიშება.

ამ აბზაცში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა უზუსტობების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესასაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორესა და სისრულეში.

2010 წლის საანგარიშო პერიოდის აუდიტის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე

-ინვენტარიზაცია

ბიუროში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჩატარებულა დებიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია. "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა ანგარიშგების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად ინვენტარიზაციის ჩატარება.

ჩვენ არ დავსწრებივართ 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულ არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების სისწორესა და სისრულეში, რაც ბალანსში ასახულია 116,271 ლარის ღირებულებით. ასევე, ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით 2010 წლის 31 დეკემბრისათვის ფლობილი მანქანა-დანადგარების, ინვენტარის და სხვა ძირითადი აქტივების ღირებულებების სისწორეში, რაც ბალანსში ასახულია 6,460,995 ლარის საერთო ღირებულებით.

აღნიშნული საკითხების გამო, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სხვა მატერიალურ მარაგებთან, მანქანა-დანადგარებსა და ინვენტართან, სხვა ძირითად აქტივებთან დაკავშირებით, აგრეთვე ფორმა N1-ის, ფორმა N3-ის, ფორმა N4-ისა და ფორმა N5-ის შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

-ვალდებულებების აღრიცხვა

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების ანგარიშებზე ირიცხება სულ 13,455 ლარის სადებეტო ნაშთი, რომელიც გამოყენებული იქნა 2011 წლის განმავლობაში. შედეგად, 2010 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები 13,455 ლარით არის შემცირებული.

-ხარჯების აღრიცხვა

2010 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2009 წელს გაწეული მივლინების, კომუნალური, კავშირგაბმულობის და დაცვის ხარჯების ნაწილი, რამაც ჯამში 16,000 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 2011 წლის იანვრის თვეში დარიცხულია 2010 წელს გაწეული კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯების ნაწილი, ჯამში 29,620 ლარის ოდენობით. შედეგად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხარჯები შემცირებულია 14,201 ლარით.

-შემოსავლების აღრიცხვა

ბიურომ 2010 წელს თანამშრომლებზე გაცემული საჩუქრები არა მხოლოდ საგადასახადო, არამედ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვისაც აღიარა რეალიზაციად და 3,795 ლარით გაზარდა N6425 საბუღალტრო ანგარიშის საკრედიტო ბრუნვა. შედეგად, შემოსავლები აღნიშნული თანხით ზედმეტად იქნა წარმოდგენილი 2010 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

-დებიტორული დავალიანებები

2010 წლის განმავლობაში დაიფარა 50,917 ლარის დებიტორული დავალიანება, გამომდინარე იქიდან, რომ გადახდის დოკუმენტებში არ ჩანდა კონკრეტული დებიტორის დასახელება, ბუღალტერიაში თანხის მიღება ნაცვლად დებიტორულ დავალიანებასთან კორესპონდენციისა, გატარადა შემოსავლების ანაგრიშზე. შედეგად, 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილად იქნა წარმოდგენილი როგორც დებიტორული დავალიანების ნაშთი, ასევე ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანგარიში. 2011 წლის განმავლობაში მოხდა იმ დებიტორების იდინტიფიცირება, რომელთაც ჰქონდათ დაფარული აღნიშნული 50,917 ლარის დავალიანება, რაც დაკორექტირდა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშთან კორესპონდენციით.

- გადასახადებთან დაკავშირებული მუხლები

ორგანიზაციის მიერ შესაბამის ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციები და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, საგადასახადო დეკლარაციებთან შედარებით ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახული გადასახდელი დღგ-ს მუხლი მეტია 45,311 ლარით, ჩასათვლელი დღგ-ს მუხლი მეტია 45,171 ლარით, გადასახდელი საშემოსავლოს მუხლი კი მეტია 8,041 ლარით. აღნიშნული უზუსტობების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბიურომ 2011 და 2012 წლებში დააზუსტა წინა საანგარიშო პერიოდების დეკლარაციები და შესაბამისი კორექტირებები ბუღალტრულ ჩანაწერებში იმ საანგარიშო წლებში გაატარა, როდესაც მოხდა დეკლარაციების დაზუსტება.

- მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვა გადასახადების აღრიცხვის შემთხვევებშიც. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუროს არ აქვს გამიჯნული საბიუჯეტო სახსრებითა და ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში შეძენილი არაფინანსური აქტივების თანხები, შეუძლებელია ქონების გადასახადის ზუსტი გაანგარიშება.

ამ აბზაცში წარმოდგენილი საკითხებისა და ზემოთ განხილული სხვა უზუსტობების საგადასახადო ეფექტის დადგენის შესასაძლებლობის არქონის გამო, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსურ ანგარიშგებაში 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული გადასახადებთან დაკავშირებული მუხლების სისწორეში.

უარყოფითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს ბიუროს ფინანსურ მდგომარეობას 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

დასკვნის საფუძვლებში წარმოდგენილი საკითხების გარდა გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

- ტექნიკური და ლაბორატორიული აღჭურვილობის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობდა 5 პრეტენდენტი და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფასები:

1. შპს"სამაია"- 69,800 ლარი;
2. შპს "'ივერმედი"-70,000 ლარი;
3. შპს"ევრაზია იმპლექსი"- 62,000 ლარი;
4. შპს"აენდესი"- 67,980 ლარი;
5. შპს"ალფალაბი"- 52,262 ლარი.

სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად გამოავლინა შპს "სამაია", რომელსაც დანარჩენ სამ პრეტენდენტთან შედარებით მაღალი ფასი ჰქონდა დაფიქსირებული. გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმ ფაქტით, რომ მხოლოდ გამარჯვებული კომპანიის წინადადება აკმაყოფილებდა ტექნიკურ მოთხოვნებს, თუმცა კონკრეტულად რა მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლეს სხვა პრეტენდენტებმა ოქმში არ არის დაფიქსირებული. ბიუროს ხელმძღვანელობისგან მიღებული ახსნა-განმარტების მიხედვით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ პროცედურულ დარღვევევას სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ოქმის შევსების სისრულესთან დაკავშირებით.

- ულტრა/მაღალი ეფექტური თხევადი ქრომატოგრაფის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი და ვაჭრობის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი ფასები:

1. შპს „აენდესი“ – 294,000 ლარი,
2. სს ,,შელტეკ საქართველო“ – 285,000 ლარი;
3. შპს ,,ექსპრესდიაგნოსტიკა“ – 284,000 ლარი;

სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად გამოავლინა შპს "აენდესი", რომელსაც სხვა პრეტენდენტებთან შედარებით მაღალი ფასი ჰქონდა დაფიქსირებული. გადაწყვეტილება დასაბუთებულია იმ ფაქტით, რომ მხოლოდ გამარჯვებული კომპანიის წინადადება აკმაყოფილებდა ტექნიკურ მოთხოვნებს, თუმცა კონკრეტულად რა მოთხოვნების დაკმაყოფილება ვერ შეძლეს სხვა მონაწილეებმა ოქმში არ არის დაფიქსირებული. ბიუროს ხელმძღვანელობისგან მიღებული ახსნა-განმარტების მიხედვით, ადგილი ჰქონდა მხოლოდ პროცედურულ დარღვევევას სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ოქმის შევსების სისრულესთან დაკავშირებით.

- სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა:

1. შპს "BIC-COMPANI"- 7,019 ლარი;
2. შპს"იბერიამშენი 2009"-13,286 ლარი.

სატენდერო კომისიის მიერ გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „იბერიამშენი 2009", ხოლო მეორე კომპანია იქნა დისკვალიფიცირებული. სატენდერო კომისიის ოქმში, მიზეზად აღნიშნულია საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობა. თუმცა, არსებულ დოკუმენტაციაში არც გამარჯვებული კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემებია წარმოდგენილი სრულად. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუროს ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო წარმოედგინა შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2010	2009
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები			
ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში		1	1
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		7,020,687	2,440,988
სავალუტო ანგარიში ბანკში	3	39	21,407
დეპოზიტები ბანკში ეროვნულ ვალუტაში		-	8,800
სხვა ანგარიშები ბანკში		30,690	-
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში		4,400	-
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	5,451,042	5,421,414
მოთხოვნები მივლინებით		944	1,206
სხვა საგადასახადო აქტივი		9,487	-
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები		116	1,022
სულ ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები		**12,517,406**	**7,894,838**
არაფინანსური აქტივები			
შენობა-ნაგებობები		4,687,287	4,842,760
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		2,622,259	1,479,182
სხვა ძირითადი აქტივები		3,838,736	3,777,480
სხვა მატერიალური მარაგები		116,271	84,444
არაწარმოებული აქტივები		862,757	432,919
სულ არაფინნსური აქტივები		**12,127,310**	**10,616,785**
სულ აქტივები		**24,644,716**	**18,511,623**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N1 - ბალანსი (გაგრძელება)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	2010	2009
ვალდებულებები და კაპიტალი			
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	5	96,452	146,177
გადასახდელი მოგების გადასახადი		510,803	70,113
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		3,580	2,012
გადასახდელი დღგ		401,631	50,676
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		5,139	38,493
გადასახდელი ხელფასები შტატით მომუშავეთათვის		997	896
გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეთათვის		17,049	17,068
დამქირავებლის მიერ ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები		9,691	9,691
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		475	475
სხვა დანარჩენი კრედიტორული დავალიანებები		245	-
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		**1,046,062**	**335,601**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		12,070,543	10,933,549
გაუნაწილებელი მოგება		11,528,111	7,242,473
სულ კაპიტალი		**23,598,654**	**18,176,022**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**24,644,716**	**18,511,623**

საცნობარო მუხლები		
ვადაგადაცილებული დავალიანებები	**1,046,062**	**335,601**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება	-	-	3,640,000	3,640,000	3,640,000	3,640,000	-
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	*3,292,441*	*3,292,441*	*3,292,441*	*3,292,441*	-
1.1.1.3 პრემია	-	-	*347,599*	*347,599*	*347,599*	*347,599*	-
1.2 საქონელი და მომსახურება	60,000	60,000	60,000	60,000	60,000	56,149	-
1.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	*17,127*	*17,127*	*17,127*	*13,276*	*3,851*
ოფისის ხარჯები 6 სექტემბრამდე			*8,941*	*8,941*	*8,941*		
საკანცელარიო საქონლის შეძენა			*2,465*	*2,465*	*2,465*		
კავშირგაბმულობის ხარჯები			*1,725*	*1,725*	*1,725*		
ოფისის ხარჯები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული			*3,996*	*3,996*	*3,996*		
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	*2,640*	*2,640*	*2,640*	*2,640*	-
1.2.6 სამედიცინო ხარჯები	-	-	*280*	*280*	*280*	*280*	-
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	*6,000*	*6,000*	*6,000*	*6,000*	-
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	*5,235*	*5,235*	*5,235*	*5,235*	-
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	*28,718*	*28,718*	*28,718*	*28,718*	-
შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი			*7,300*	*7,300*	*7,300*		
სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები			*21,418*	*21,418*	*21,418*		

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

106

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება						170,696	
1.4 პროცენტი	-	-	-	-	-	-	-
1.5 სუბსიდიები							
1.6 გრანტები	-	-	-	-	-	-	-
1.7 სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	-
1.8 სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-
1. სულ ხარჯები	3,700,000	3,700,000	3,700,000	3,700,000	3,700,000	3,866,846	166,846

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

101

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1.1 ძირითადი აქტივები	-	800,000	800,000	800,000	800,000
1.1.1 შენობა-ნაგებობები	-	*38,553*	*38,553*	*38,553*	*38,553*
არასაცხოვრებელი შენობები	-	*38,553*	*38,553*	*38,553*	*38,553*
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	*761,447*	*761,447*	*761,447*	*761,447*
სატრანსპორტო საშუალებები	-	*50,000*	*50,000*	*50,000*	*50,000*
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	*711,447*	*711,447*	*711,447*	*711,447*
1.2 მატერიალური მარაგები	-	-	-	-	-
1.3 ფასეულობები	-	-	-	-	-
1.4 არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-
სულ არაფინანსური აქტივები	800,000	800,000	800,000	800,000	800,000

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

108

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 31/12/2009	**10,933,549**
სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(3,640,000)
საქონელი და მომსახურება	(56,149)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	
ფიზიკური ცვეთა	(170,696)
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	(36,815)
ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები	(9,988)
სულ სადებეტო ბრუნვა	**(3,913,648)**
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	**4,500,000**
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	**550,643**
ძირითადი აქტივები	*114,633*
მატერიალური მარაგები	*7,110*
არაწარმოებული აქტივები	*428,900*
სულ საკრედიტო ბრუნვა	**5,050,643**
წმინდა ღირებულების ცვლილება	**1,136,995**
წმინდა ღირებულება 31/12/2010	**12,070,544**

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N4 - ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

	საკასო	ფაქტიური
ნაშთი 31/12/2009	2,471,195	-
საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები:		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	10,388,509	9,222,171
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	476,015	-
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა შემოსავლები	10,864,524	9,222,171
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით		
შრომის ანაზღაურება	(1,970,288)	(1,970,288)
საქონელი და მომსახურება	(1,646,223)	(1,326,815)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	(682,786)
სხვა ხარჯები	(1,560,680)	-
სულ ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:	(5,177,191)	(3,979,889)
არაფინანსური აქტივები		
ძირითადი აქტივები	(1,107,112)	-
სულ არაფინანსური აქტივები	(1,107,112)	-
სულ ფინანსური აქტივები	-	-
სულ ვალდებულებები	-	-
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	-	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს 31/12/2010	7,051,416	

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

		მიღება				გასვლა			
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისი სათვის	ეკონომიკური საქმიანობით	ბიუჯეტით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან ერთეულიდან	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
ძირითადი აქტივები									
შენობა-ნაგებობები	4,842,760	18,498	38,553	46,410	-	-	258,934	-	4,687,287
არასაცხოვრებელი შენობები	4,842,760	18,498	38,553	46,410	-	-	258,934	-	4,687,287
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,479,182	763,041	606,041	68,222	36,617	36,815	294,028	-	2,622,259
სატრანსპორტო საშუალებები	210,132	69,657	50,000	-	36,617	36,815	47,214	-	282,377
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვეტარი	1,269,050	693,383	556,041	68,222	-	-	246,814	-	2,339,882
სხვა ძირითადი აქტივები	3,777,480	206,369	155,406	-	-	-	300,520	-	3,838,735
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,748	28,696	-	-	-	-	2,516	-	28,929
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	3,774,732	177,672	155,406	-	-	-	298,004	-	3,809,806
სულ ძირითადი აქტივები	10,099,422	987,907	800,000	114,632	36,617	36,815	853,482	-	11,148,281
მატერიალური მარაგები									
სხვა მატერიალური მარაგები	84,444	912,696	14,465	7,710	-	-	-	903,045	116,270
სულ მატერიალური მარაგები	84,444	912,696	14,465	7,710	-	-	-	903,045	116,270
ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ *(გაგრძელება)*

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისი სათვის	მიღება				გასვლა			ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
		ეკონომიკური საქმიანობით	ბიუჯეტით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	
არაწარმოებული აქტივები									
მიწა	432,919	-	-	428,901	-	-	-	-	861,820
სხვა ბუნებრივი აქტივები	-	937	-	-	-	-	-	-	937
სულ არაწარმოებული აქტივები	432,919	937	-	428,901	-	-	-	-	862,757
სულ არაწარმოებული აქტივები	10,616,785	1,901,540	814,465	551,243	36,617	36,815	853,482	903,045	12,127,308

ბიუროს უფროსი ____________________________ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ____________________________ გიორგი მუმლაძე

112

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

	ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო სახსრებით		სულ	
მაჩვენებელთა დასახელება	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	საკასო ხარჯები	ფაქტიური ხარჯები	**საკასო ხარჯები**	**ფაქტიური ხარჯები**
სატრანსპორტო ერთეულთა საშუალო წლიური რაოდენობა სულ: -	-	-				
მ.შ. მსუბუქი მანქანები სულ: -	**5,235**	**5,235**	**114,342**	**114,342**		
აქედან						
ა) პერსონალური სარგებლობის: -	-	-	-	-	-	-
ბ) სამსახურებრივი მიმოსვლის -	-	-	-	-	-	-
გ) ოპერატიული და სპეცდანიშნულების: -	-	-	-	-	-	-

ბიუროს უფროსი _____ გიორგი ხიზანიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ გიორგი მუმლაძე

სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2010 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" 2004 წლის 4 ნოემბერს ჩამოყალიბდა. იგი შექმნილია სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ" საქართველოს კანონის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2009 წლამდე ბიურო შედიოდა იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში. 2009 წლის 1 იავრიდან 2009 წლის 16 მარტამდე ბიურო ფუნქციონირებდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 31 დეკემბერს N267 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით და მას, როგორც მხარჯავი დაწესებულებას ბიუჯეტის კანონით მიენიჭა განცალკევებული ორგანიზაციული კოდი (46 00).

2009 წლის 16 მარტიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე ბიურო ფუნქციონირებდა, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 16 მარტის N46 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ერთადერთი სასამართლო ლაბორატორიაა ქვეყნის მასშტაბით, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საექსპერტო მომსახურებით. ბიურო საექსპერტიზო მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მომსახურების ტარიფების მიხედვით.

ბიუროს უფროსის თანამდებობას გიორგი ხიზანიშვილი იკავებს.

ბიუროს საშტატო რიცხოვნებამ 2010 წლის საბიუჯეტო კანონით 291 ერთეული შეადგინა საიდანაც 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავებული იყო 257 ერთეული, ანუ ვაკანტური იყო 34 ერთეული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა რიცხოვნებამ კი 117 ერთეული შეადგინა.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ბიურო ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაფასება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით გამოსახული ნაკადების ღირებულება კონვერტირდება ეროვნული ვალუტით იმ თარიღისათვის მოქმედი ოფიციალური კურსით, როდესაც ამ ნაკადებს ჰქონდათ ადგილი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გაცვლით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში (მოგება/ზარალი ფლობიდან).

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბიურომ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები 1 GEL	
	2010	2009
აშშ დოლარი USD	1.7728	1.6858
ევრო EUR	2.3500	2.4195
გირვანქა სტერლინგი GBP	2.7393	2.6735

წინა პერიოდის/პერიოდების შეცდომები

2010 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას ბიურომ შეასწორა საწყისი საბალანსო ნაშთები. კორექტირებები და რეკლასიფიკაციები კონკრეტული საბალანსო მუხლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	31/12/2009 თავადპირველად წარდგენილი	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31/12/2009 კორექტირებული
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5,369,423	51,991	-	5,421,414
სხვა დანარჩენი დებიტორული დავალიანებები	1,117	(95)	-	1,022
გადასახდელი დღგ	(42,761)	(7,915)	-	(50,676)
სხვა ძირითადი აქტივები	3,778,243	-	(763)	3,777,480
სხვა მატერიალური მარაგები	83,681	-	763	84,444
წმინდა ღირებულება	(11,010,037)	76,488	-	(10,933,549)
გაუნაწილებელი მოგება	(7,122,004)	(120,469)	-	(7,242,473)
	(8,942,338)	-	-	**(8,942,338)**

3. სავალუტო ანგარიში ბანკში

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავალუტო ანგარიში ბანკში ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2010	2009
EUR	14,461	13,328
USD	4700	62
GBP	2,246	-
სულ ლარში	**21,407**	**13,390**

4. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2010	2009
შინაგან საქმეთა სამინისტრო	4,392,664	4,392,664
ფინანსთა სამინისტრო	270,063	466,002
სასჯელაღსრულების სამინისტრო	213,777	222,812
ქ. რუსთავის მერია	30,504	55,589
ქ. ქუთაისის მერია	77,704	10,083
შპს ,,ჯორჯიან რეილვეი ტრანსკონტეინერი“	55,430	-
სსიპ საფინანსო სააგენტო	39,674	41,104
სს ,,საქართველოს რკინიგზა“	31,364	-
თავდაცვის სამინისტრო	39,956	36,753
აღსრულების ეროვნული ბიურო	30,098	30,098
სხვა მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	269,808	166,308
	5,451,042	**5,421,414**

5. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2010	2009
შპს ,,ჯიპისი"	82,450	82,450
შპს „სამაია“	6,824	-
ი/მ ლიანა ჭილაია	-	38,663
სს ,,თელასი"	1,037	8,334
შპს ,,ირაო"	2,655	8,263
სხვა ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3,481	8,467
	96,448	**146,177**

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.